



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

COVID-19-ის კონტროლი და პრევენცია საქართველოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

სარჩევი

შესავალი.....	2
მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები.....	2
ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი.....	5
გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო.....	6
ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის თავიდან აცილების ევროპული კომიტეტი (CPT)	6
საერთაშორისო პრაქტიკა.....	7
საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები.....	8
დასკვნა.....	9

შესავალი

COVID-19-თან ბრძოლის გლობალური მცდელობა, შესაძლოა არაეფექტური იყოს თუ საზოგადოება და ხელისუფლება არასათანადო ყურადღებას დაუთმობს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ინფექციის გავრცელების პრევენციასა და კონტროლს¹.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული თუ დასაქმებული ადამიანები, ბუნებრივად წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს, რადგან პატიმრები, სხვაგვარად თავისუფლებააღკვეთილი თუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დასაქმებული პირები, იმყოფებიან ერთმანეთთან ძალიან ახლოს, ხანგრძლივი დროის მონაკვეთში, დახურულ სივრცეში. ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, დაიცვან ჰიგიენის მაღალი სტანდარტები, რეკომენდირებული სოციალური დისტანცია და, მით უმეტეს, თვითიზოლაცია. სუსტი იმუნური სისტემა, სტრესი თუ არაჯეროვანი კვების რაციონი, სურათს კიდევ უფრო ამძიმებს.

გარდა გარემო ფაქტორებისა, პატიმართა მოწყვლადობას ხელს უწყობს ისიც, რომ, როგორც წესი, მათ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა აქვთ (მაგ: ციხის პოპულაციაში ტუბერკულოზის, ჰეპატიტი C, HIV დაავადების კოეფიციენტი გაცილებით მაღალია, ვიდრე ზოგადად საზოგადოებაში)².

იქიდან გამომდინარე, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირები ინფექციის მარტივად და მასობრივად გავრცელების რისკს ჯგუფს განეკუთვნებიან, და საჭიროა ამგვარ დაწესებულებებში მომეტებული სიფრთხილის დაცვა, ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიც არიან მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია, ადამიანის უფლებათა კომისიის ოფისი, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, შეიმუშავეს სპეციალური რეკომენდაციები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში COVID-19-ის გავრცელების პრევენციისთვის.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურმა ოფისმა (შემდეგში

¹მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ოფისი, 15 მარტის შუალედური სახელმძღვანელო „ციხეებსა და სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში COVID-19-ისთვის მომზადების, პრევენციისა და კონტროლის შესახებ“, გვ.1

² Penal Reform International's (PRI), Global Prison Trends 2019, Healthcare in prisons, გვ. 2

WHO/Europe) 15 მარტს გამოაქვეყნა შუალედური სახელმძღვანელო დოკუმენტი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ქვეყანა COVID-19-ს ციხეებსა თუ თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში.

WHO/Europe-ს არ გამორჩენია, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირები ეპიდემიის პირობებში უფლებრივი მდგომარეობის კუთხითაც მოწყვლადი ჯგუფია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმძღვანელო დოკუმენტის ფოკუსი უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ ჯანდაცვა.

WHO/Europe -ს მოსაზრებით, ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს:

- ციხეებსა თუ თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა; გარდა ამისა, ამგვარ დაწესებულებებში განთავსებულმა პირებმა დისკრიმინაციის გარეშე უნდა ისარგებლონ იმავე ხარისხის და სტანდარტების ჯანდაცვის სისტემით, როგორც სარგებლობს საზოგადოების ფიზიკურად თავისუფალი ნაწილი;³
- საპატიმრო/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შემსვლელი ან ამგვარი დაწესებულებებიდან გამსვლელი ნებისმიერი პირის სკრინინგი. WHO/Europe აცხადებს, რომ ახალი პატიმრების იზოლაციაზე ხარჯთეფექტური პატიმრის მიერ სკრინინგის გავლაა. გარდა ფინანსური ასპექტისა, არასაჭირო სამედიცინო იზოლაციამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს პირის მენტალურ ჯანმრთელობაზეც;⁴
- ტრიაჟის კაბინეტები ციხეში დასაქმებულთა და ვიზიტორთა ინდივიდუალურად შეფასებისათვის, შესაძლო რისკების შესწავლისთვის⁵, ცხელებასა თუ ქვემო რესპირატორული ტრაქტის სკრინინგისათვის⁶. სიმპტომების გამოვლენისას, პირი უნდა გადაიყვანონ სამედიცინო იზოლაციაში შემდგომი კვლევის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ტესტირებისთვის. იზოლაციაში მოთავსებულებს უნდა განემართოს იზოლაციის მიზეზი და მიეცეთ შესაძლებლობა, შეატყობინონ მესამე პირებს მათი იზოლაციაში გადაყვანის შესახებ;
- მინიმუმ ყოველდღიური დეზინფექცია, ინდივიდუალური ჰიგიენის წესების დაცვის წახალისება, განთავსებული პირებისა თუ დასაქმებულთა

³იხილეთ სქოლიო 1, გვ.3

⁴<http://www.euro.who.int/en/health-topics/health-determinants/prisons-and-health/focus-areas/prevention-and-control-of-covid-19-in-prisons-and-other-places-of-detention>

⁵აღნიშნულისთვის საჭიროა ინფორმაციის მოგროვება პირის სიმპტომებზე, მოგზაურობის ისტორიასა თუ დაინფიცირებულთან შესაძლო კონტაქტზე

⁶<http://www.euro.who.int/en/health-topics/health-determinants/prisons-and-health/news/news/2020/3/preventing-covid-19-outbreak-in-prisons-a-challenging-but-essential-task-for-authorities>

ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება; შესაბამისი აღჭურვილობა მსოფლიო მასშტაბითაა დეფიციტური, თუმცა, აუცილებელია, არსებული მარაგის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებზე პრიორიტეტიზირება;

- განსაკუთრებული რისკის ჯგუფში მყოფი პატიმრების ყველაზე ეფექტური და ნაკლებ დამაზიანებელი გზით გამოცალკევება სხვა პირებისგან, სასურველია სამარტოვო სამყოფელში;
- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა სრული ინფორმირებულობა. ციხის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები უნდა იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე. გასათვალისწინებელია პირთა განსაკუთრებით დამაბული ემოციური ფონი, ამიტომ გარდა ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა, საჭიროა მუდმივ რეჟიმში, პროაქტიულად მიეწოდოს ინფორმაცია. ხშირად უნდა გაესვას ხაზი, რომ ისინი პანდემიის კრიზისული პერიოდის დასრულებისთანავე აღადგენენ ოჯახთან განგრძობად კონტაქტს;⁷
- ცხადია, ციხეებსა თუ თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში ვიზიტების შეზღუდვა ინფექციის გავრცელების პრევენციის გზაზე ლეგიტიმური ნაბიჯია, თუმცა, ციხის ადმინისტრაციას მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ის, რომ, ზოგადად, თავისუფლებააღკვეთილი ადამიანი შეზღუდვებზე, შესაძლოა, უფრო მწვავედ რეაგირებდეს სხვადასხვა ფაქტორების გამო, მაგ: პატიმართა მომეტებული შფოთვა გარესამყაროსგან კიდევ უფრო დიდი ხარისხით მოწყვეტის გამო. ამიტომ, WHO/Europe-ს რეკომენდაციით, უნდა გაიზარდოს 'ვიზიტის' არაკონტაქტური საშუალებები, მაგალითად ოჯახთან/მეგობრებთან ვიდეოზარის შესაძლებლობა;⁸
- ხელი არ შეეშალოს იმ ორგანოების მუშაობას, რომელთა მანდატიც წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენციაა;⁹
- ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ციხესა თუ სხვა დაწესებულებაში პირის სამედიცინო იზოლაციაში მოქცევას ითვალისწინებს, დაფუძნებული უნდა იყოს კლინიკურად დადასტურებულ სამედიცინო საჭიროებაზე. ადეკვატური ზომები უნდა იქნეს მიღებული შესაძლო ინფიცირებულთა მარგინალიზაციის თუ სტიგმატიზირების თავიდან ასაცილებლად;

⁷იხილეთ სქოლიო 1, გვ 5

⁸ Ibid, გვ.22

⁹ Ibid, გვ. 5

- პანდემია არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებისგან, განუხრელად დაიცვას ე.წ. „ნელსონ მანდელას წესები“¹⁰. მაგ: შეზღუდვები არასდროს უნდა გაუტოლდეს წამებას, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას; აკრძალულია სამართო პატიმრობის განუსაზღვრელი ან ხანგრძლივი ვადით (15 დღეზე მეტი) გამოყენება; გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს კვალიფიციური ექიმების მიერ და დაუშვებელია, მათ მიერ მიღებული კლინიკური გადაწყვეტილებების შეცვლა ან უგულებელყოფა ციხის არასამედიცინო პროფილის თანამშრომელთა მიერ; ოჯახთან კონტაქტი არ უნდა აკრძალოს განუსაზღვრელი ვადით და ა.შ.
- აუცილებელია სამოქმედო გეგმის შედგენა. ამგვარ გეგმაში დეტალურად უნდა გაიწეროს სხვადასხვა აქტივობა, მათზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობის დასრულების ვადები, კრიზისული გეგმები. WHO/Europe დეტალურად გაწერს თუ რა კომპონენტებს უნდა პასუხობდეს ამგვარი გეგმა¹¹.
- აუცილებელი და გარდაუვალია, ციხის გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრის გზებზე ფიქრი (ხელისუფლებამ სამართალწარმოების ყველა ეტაპზე მასობრივად უნდა გამოიყენოს არასაპატიმრო საშუალებები). წახალისებულია პირთა გარკვეული კატეგორიის ვადაზე ადრე გათავისუფლება (თუმცა, ამ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაცია უნდა დარწმუნდეს რომ პირს აქვს საშუალება კარანტინში მოექცეს, აქვს შესაბამისი პირობები, ადგილობრივი ხელისუფლება ინფორმირებული უნდა იყოს, რათა შეძლოს გადამოწმება რამდენად ასრულებს პირი კარანტინის მოთხოვნებს).

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი

ადამიანის უფლებათა კომისარმა 6 აპრილის ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს მკაცრად მოუწოდა, აქტიურად გამოიყენონ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის ყველა ალტერნატიული რესურსი. კომისარმა ამგვარ ალტერნატივათა შორის დაასახელა პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლება, ციხის პოპულაციის შემცირების მიზნით სისხლის სამართლის პოლიტიკის რეფორმირება (დროებითი ან ვადაზე ადრე გათავისუფლება, ამნისტია, შინაპატიმრობა ან სასჯელის შემსუბუქება), გამოძიების და სასჯელის აღსრულების გადავადება.

¹⁰ „გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“

¹¹ იხილეთ სქოლიო 1, გვ 11-12

ადამიანის უფლებათა კომისრის განცხადებით, წევრი ქვეყნების ხელისუფლებებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ თავისუფლებათა დაცვით, რომელთაც ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა აქვთ, დაბალი რისკის შემცველ ხანდაზმულებსა და მსუბუქ ან არაძალადობრივ დანაშაულებში მსჯავრდებულებზე.

კომისარმა ხაზი გაუსვა, რომ ციხის პოპულაციის შემცირება ევროპაში სანიტარული რეგულაციის ეფექტური აღსრულებისთვის, ციხის პერსონალზე და ზოგადად პენიტენციურ სისტემაზე დატვირთვის შემცირებისთვის, გარდაუვალი გზაა¹².

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) მიიჩნევს, რომ COVID-19 პრევენციისა და კონტროლის ზოგადი ზომები, შესაძლოა არაეფექტური გამოდგეს უამრავი ციხისთვის, რომელიც გადატვირთულობის და სისტემურ პრობლემებს ებრძვის. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების რისკის წინაშე დაყენების გარეშე, ციხეების სტრატეგია ითვალისწინებდეს ახალი პატიმრების ნაკადის შემცირებას და პატიმრების შერჩეული კატეგორიების გათავისუფლების დაჩქარებას.¹³

ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის თავიდან აცილების ევროპული კომიტეტი (CPT)

CPT-მ შეიმუშავა რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომლებიც ხელისუფლების რელევანტურმა შტოებმა ინფექციასთან ბრძოლისას უნდა გაითვალისწინონ.

კომიტეტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ძალისხმევა უნდა მიმართოს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივების გამოყენებაზე. აღნიშნული პრინციპი იმპერატიულ შინაარსსაც კი იძენს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანაში ციხეების გადატვირთულობის პრობლემა დგას. ხელისუფლებამ ასევე აქტიურად

¹²<https://www.coe.int/en/web/commissioner/-/covid-19-pandemic-urgent-steps-are-needed-to-protect-the-rights-of-prisoners-in-europe>

¹³United Nations Office on Drugs and Crime, Position Paper on COVID-19 preparedness and responses in prisons, გვ. 1

უნდა გამოიყენოს წინასწარი დაკავების ალტერნატივები, სასჯელის შემსუბუქება, ვადაზე ადრე გათავისუფლება და პრობაცია.¹⁴

საერთაშორისო პრაქტიკა

ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ათასობით პატიმრის დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად, რაც თავის მხრივ სამედიცინო პუნქტებსაც გადატვირთავდა, დროებით გათავისუფლებიან ის პირები, ვისაც სასჯელის სრულად მოხდას ორი თვე ან ნაკლები აშორებს; დროებით გათავისუფლებიან ფეხმძიმე და ის ქალები, ვისაც შვილები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჰყავთ (Mother and Baby Units).¹⁵ ცხადია, ამ კატეგორიებიდან მხოლოდ ისინი დატოვებენ საპატიმროს, რომლებიც რისკის შეფასებისთვის გაწერილ მკაცრ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მოტივით, ზემოაღნიშნულ პირებში ვერ მოექცევიან ის ადამიანები, რომლებსაც:

- გამოუვლინდათ ინფექციის სიმპტომები;
- ჯერ არ მოუხდიათ სასჯელის ნახევარიც კი;
- არიან მაღალი რისკის შემცველნი;
- ჩაიდინეს ძალადობრივი, სქესობრივი ან COVID-19-თან დაკავშირებული დანაშაულები;
- საფრთხეს შეიცავენ ეროვნული უსაფრთხოებისთვის ან ბავშვებისთვის;
- არ აქვთ საცხოვრებელი;¹⁶

ციხეების პოპულაციის განტვირთვის მიზნით, ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტრო პატიმრების დროებითი შესახლებისთვის დამატებითი შენობების მოძიების პროცესშია. შეწყალების პროცესები გრძელდება, თუმცა, დისტანციური მეთოდით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მთელი რიგი შტატების გადაწყვეტილებით დაწყებულია პატიმართა გათავისუფლების პროცესი. ნიუ იორკი, ჯორჯია, კალიფორნია, ალაბამა, მიჩიგანი, კოლორადო, კალიფორნია, ჰავაი, ვირჯინია, პენსილვანია, ფილადელფია, ლუიზიანა, იუტა, არიზონა, ოკლაჰომა, სამხრეთ კაროლინა, ფლორიდა, ვაშინგტონი, ტექსასი ოჰაიო, ილინოისი- ეს იმ შტატების

¹⁴ European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), “Statement of principles relating to the treatment of persons deprived of their liberty in the context of the coronavirus disease (COVID-19) pandemic “

¹⁵ <https://www.gov.uk/government/news/pregnant-prisoners-to-be-temporarily-released-from-custody>

¹⁶ <https://www.gov.uk/government/news/measure-announced-to-protect-nhs-from-coronavirus-risk-in-prisons>

არასრული ჩამონათვალია, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ეპიდემიის აფეთქებასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, ციხის პოპულაციის შემცირებაა.¹⁷

პატიმრების გათავისუფლება დაგეგმილია საფრანგეთში (მხოლოდ საფრანგეთმა დაახლოებით 5-6 ათასი პატიმრის გათავისუფლება დააანონსა¹⁸), ავსტრალიაში, პოლონეთში, სუდანში, ბაჰრეინში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ირანში, იორდანიაში, ტაილანდში, ფილიპინებზე, ნეპალში, გერმანიაში, კანადაში, აზერბაიჯანში, ირლანდიაში, ისრაელსა და საბერძნეთშიც. სია, ცხადია, ამომწურავი არ არის და დღითიდღე იზრდება.¹⁹

თურქეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც დაახლოებით 100 000 პატიმრის გათავისუფლებას ითვალისწინებს (აქედან დაახლოებით 45000 ის გათავისუფლება დროებითი იქნება)²⁰.

საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები

საქართველოში 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში 9740 პატიმარი იხდის სასჯელს²¹. გარდა ამისა, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილება, რომ პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულთა მიერ ინფექციის „გარედან“ შეტანის რისკების შესამცირებლად, 780 თანამშრომელი მუდმივად იცხოვრებს საპატიმროების ტერიტორიაზე²². აღნიშნულ ორ მონაცემზე დაყრდნობით, საქართველოში ამჟამად, განსაკუთრებით მოწყვლად პირთა რიცხვი მხოლოდ ციხეების ტერიტორიაზე 10 ათასზე მეტია.

შესაბამისად, საჭიროა, გამოიკვეთოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში გადადგმული სხვადასხვა ნაბიჯები.

მიმდებ ციხეებში ბრალდებულები გადიან სკრინინგს, გროვდება ინფორმაცია მათ სიმპტომებზე, მოგზაურობის ისტორიასა და კონტაქტებზე და ამის შემდგომ, პირი

¹⁷ <https://www.prisonpolicy.org/blog/2020/03/27/slowpandemic/>

¹⁸ <https://www.euronews.com/2020/03/26/coronavirus-inmates-in-france-hit-out-over-prison-hygiene-amid-covid-19-fears>

¹⁹ <https://www.prisonstudies.org/news/news-covid-19-and-prisons>

²⁰ <https://www.reuters.com/article/us-turkey-security-prisoners/turkish-parliament-passes-bill-to-release-thousands-from-prison-amid-coronavirus-idUSKCN21V241>

²¹ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>

²² <http://www.sps.gov.ge/ka/media/akhali-ambebi/article/23460-thea-tsulukiani-ges-pirobebi-shemushavda-imisthvis-rom-arc-chven-da-arc-patimrebs-ar-gvqondes-imis-gancda-rom-romelime-inspektor-kontrolori-garedan-sheitans-viruss-datsesebulebashiq.html>

21 დღის ვადით თავსდება საკარანტინო ზონაში.²³ სამწუხაროდ, არ არსებობს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რა ტიპის სკრინინგი ტარდება, გამოიყენება თუ არა თერმული სკრინინგი და ა.შ.

ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაო, თუმცა, საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რამდენად ხშირია ეს დეზინფექცია და გათვალისწინებულია თუ არა WHO/Europe-ს რეკომენდაცია, რომ ამგვარი შენობები მოითხოვს მინიმუმ ყოველდღიურ დეზინფექციას.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შეჩერდა პატიმრებთან პაემნები, ხოლო „გარე სამყაროსთან ურთიერთობის დეფიციტის ნაწილობრივ შესავსებად, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით [...]“ პატიმრებს კანონით დადგენილ ფასიან სატელეფონო სასაუბრო დროზე 15 წუთიანი უფასო სასაუბრო დრო დაემატათ.²⁴ გარდა ამისა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი პატიმრებს დამატებით 20 წუთიან სასაუბრო დროს დაუფინანსებს²⁵. მივესალმებით რა იუსტიციის მინისტრის ამგვარ გადაწყვეტილებას, მიგვაჩნია, რომ ვიზიტების აბსოლუტური გაუქმების ფონზე, პატიმართა მენტალური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, აუცილებელია, გაკეთდეს უფრო მეტი. WHO/Europe-ს რეკომენდაციის თანახმად, სასურველია, დაინერგოს სხვა არაკონტაქტური საშუალებებიც. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, სადაც ციხეებში ვიზიტები ასევე შეჩერებულია, ციხის ადმინისტრაციებმა უზრუნველყვეს პატიმრების გარესამყაროსთან კონტაქტის უფრო მრავალფეროვანი საშუალებები (ხმოვანი შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა, წერილი. გარდა ამისა, დაბალი რისკის პატიმრებს ექნებათ სპეციალურ ტელეფონებზე წვდომა).²⁶

დასკვნა

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ოფისის, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს რეკომენდაციით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პოპულაციის შემცირება COVID-19-ის გავრცელების პრევენციის გზაზე ერთ-ერთი აუცილებელი და უფრო მეტიც, გარდაუვალი ნაბიჯია.

²³<http://www.sps.gov.ge/ka/media/akhali-ambebi/article/23455-erthi-kviraa-rac-saetcvo-simptomebis-mqone-akhaldakavebuli-piri-penitenciu-datsesebulebashi-ver-khvdeba.html>

²⁴<http://www.sps.gov.ge/ka/media/akhali-ambebi/article/23457-akhalkoronavirusthan-dakavshirebuli-gansakuthrebuli-pirobebis-periodshi-patimrebi-ufaso-satelefono-zarebith-isargebleben.html>

²⁵<http://www.sps.gov.ge/ka/media/akhali-ambebi/article/23464-tsitheli-jvris-saerthashoriso-komiteti-patimrebs-20-tsuthian-ufaso-satelefono-sasaubro-dros-daufinansebs.html>

²⁶ <https://www.gov.uk/guidance/coronavirus-covid-19-and-prisons>

აღნიშნული განსაკუთრებით საყურადღებოა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის ანგარიშების ფონზე.

მაგალითად, 2016 წლის ინფორმაციით, პენიტენციური დეპარტამენტის N17 დაწესებულებაში იმდენად რთულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, რომ მაღალია ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი²⁷.

უახლესი მონაცემებითაც კი საქართველოში რჩება დაწესებულებები, რომლებშიც გადატვირთულობის პრობლემა მოუგვარებელი რჩება. მაგალითად, N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა დადგენილი მაქსიმალური ოდენობა 1388-ია, თუმცა, როგორც ირკვევა, 2019 წელს ამ დაწესებულებაში იმყოფებოდა 1900 პატიმარი²⁸.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშის თანახმად, ციხეებში, რომელიც მონიტორინგისთვის შეირჩა, გადატვირთულობის პრობლემის პარალელურად, დაფიქსირდა, რომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა არ არის საკმარისი. აღნიშნული პრობლემების ერთობლიობის გამო, „[...] დაწესებულებებში არ არის უზრუნველყოფილი პატიმრებზე სათანადო ზედამხედველობა“²⁹.

მონიტორინგის შედეგად ასევე გამოიკვეთა ვენტილაციისა და სანიტარული ნორმების პრობლემები. ზოგიერთ დაწესებულებაში არ არსებობს ხელოვნური ვენტილაციის სისტემა, ზოგიერთ ტერიტორიაზე კი ბუნებრივი ვენტილაცია არაა ხელმისაწვდომი.³⁰

აღბათ, ყველაზე საყურადღებოა ის, რომ მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ „[...] პენიტენციური ჯანდაცვის კუთხით კვლავ პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია [...]“³¹.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ფიზიკური დისტანცირება, ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტებია ვირუსის გავრცელების პრევენციის გზაზე. ეპიდემიის გავრცელების აღბათობა კიდევ უფრო სახიფათოდ გამოიყურება სამედიცინო კადრების სიმწირისა ფონზე (რომელთაგან ზოგიერთს, რაღაც ეტაპზე, შესაძლოა თავად მოუწიოს თვითიზოლირება).

²⁷პრევენციის ეროვნული მექანიზმი „N17 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში“, 2016, გვ. 21

²⁸პრევენციის ეროვნული მექანიზმი, „N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში“, 2019, გვ. 17

²⁹ idem

³⁰ იხილეთ სქოლიო 20, გვ. 32

³¹ Ibid, გვ. 51

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით პენიტენციურ სისტემაში არ დაფიქსირებულა COVID-19-ით ინფიცირების ფაქტი, საქართველოს ხელისუფლებამ წინასწარ უნდა შეიმუშავოს კრიზისული გეგმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 16 აპრილის ბრძანებით, საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე „[...]პირობით მსჯავრდებულები და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირები გათავისუფლდნენ [...] პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილი რეჟიმით რეგისტრაციისა და აღრიცხვაზე აყვანის მიზნით გამოცხადების ვალდებულებისაგან“³².

ამგვარი გადაწყვეტა მისასალმებელია, თუმცა, რისკების მაქსიმალურად დასაზღვევად არასაკმარისი. მიგვაჩნია, რომ საქართველოს პენიტენციური სისტემა უნდა იყოს მზად, საჭიროების შემთხვევაში, მყისიერად დაატოვებინოს საპატიმროები წინასწარ განსაზღვრულ პირებს. აღნიშნულის საჭიროება გამომდინარეობს კორონავირუსის კიდევ ერთი თავისებურებით: ინფიცირებული ადამიანი შესაძლოა იყოს აბსოლუტურად ასიმპტომური. ვირუსი შეიძლება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში „ცხოვრობდეს“ დღეების განმავლობაში ისე, რომ ადმინისტრაციამ თუ სამედიცინო პერსონალმა ამის შესახებ არ იცოდეს. აღნიშნულ საშიშროებას ცხადყოფს აშშ-ში ახლახანს ჩატარებული ტესტირება, სადაც, მაგ: არკანზასში, ოჰაიოში, ჩრდილოეთ კაროლინასა და ვირჯინიაში ჩატარებული ტესტირების თანახმად, გამოკვლეულ პატიმართა 96%-ში ვირუსი მიმდინარეობდა ასიმპტომურად³³.

პენიტენციურმა სისტემამ ციხის ადმინისტრაციის, ჯანდაცვისა და იურიდიული სფეროების წარმომადგენლებთან ერთად წინასწარ უნდა შეიმუშავოს იმ პირთა წრის ჩამონათვალი, ვინც კრიზისის გამწვავების შემთხვევაში დატოვებს საპატიმროებს.

რეკომენდაციებისა და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებით, ესენი შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომელთაც სასჯელის მოხდას რამდენიმე თვე აშორებს (12 თვემდე), რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ხანდაზმულები, ფეხმძიმე ქალები, მარტოხელა ქალები, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, პირები, რომლებიც საპატიმროში გირაოს გადაუხდელობის გამო აღმოჩნდნენ, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

³² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 16 აპრილის №522 ბრძანება „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დაცვის განსხვავებული წესის განსაზღვრის თაობაზე“, პირველი მუხლი

³³ https://www.reuters.com/article/us-health-coronavirus-prisons-testing-in/in-four-us-state-prisons-nearly-3300-inmates-test-positive-for-coronavirus-96-without-symptoms-idUSKCN2270RX?fbclid=IwAR0h_Dt-VmLcw6LF84AXUfVevFv0p0Y-0RgiqYH1wKgU04vepJ7ARkWvJIQ

მყოფი პირები, ნარკოტიკის პირადი მოხმარებისთვის დაპატიმრებული პირები და ა.შ.

ცხადია, პატიმართა დაუყოვნებლივი გათავისუფლების საკითხი დღეს არ დგას დღის წესრიგში, თუმცა საქართველოს ციხეებში არსებული სანიტარული სიტუაციის ეფექტურად მართვისთვის საჭირო კადრების ნაკლებობა, ერთ და ორ დღეში არ გადაიჭრება. გარდა ამისა, შეუძლებელია, პენიტენციური სისტემის ის 780 თანამშრომელი, რომლებიც იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით საპატიმროების ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ახალი კორონავირუსის დასრულებამდე იმყოფებოდნენ საპატიმროებში. ამიტომ გონივრული იქნება საჭიროების შემთხვევაში კრიზისს საქართველოს ხელისუფლებამაც უპასუხოს შერჩეული კატეგორიის პატიმრების დროებით ან მუდმივად გათავისუფლებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტს მსჯავრდებულთა შეწყალების უფლებამოსილებას ანიჭებს. უფრო მეტიც, შეწყალების პროცესში პრეზიდენტს არ მოეთხოვება ჰქონდეს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერა. შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების მზაობასთან ერთად, პარარელულ რეჟიმში ქვეყნის მეთაურსაც შეუძლია თავისი მანდატის ფარგლებში დაიწყოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ პირთა ოდენობის შემცირების საკითხის დამუშავება.

რა თქმა უნდა, ყველა იმ პირმა, რომელიც მოხვდება წინასწარ განსაზღვრულ კატეგორიაში, უნდა გაიაროს შემოწმება, თუ რამდენად აკმაყოფილებს დაბალი რისკის მოთხოვნებს. პირები, რომლებიც დროებით ან სამუდამოდ დატოვებენ საპატიმროებს, არ უნდა შეიცავდნენ საფრთხეს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის.

ზემოაღნიშნული ნაბიჯი, როგორც სხვადასხვა ორგანიზაციებმა თუ კომიტეტებმა აღნიშნეს, არათუ საჭირო, არამედ გარდაუვალია ქვეყნებში, სადაც ციხეების გადატვირთულობის პრობლემა არსებობს. ციხეების გადატვირთვა ამ კონტექსტში უნდა განიმარტოს, არა ციხის ზოგადი ტევადობის და მისი პოპულაციის შედარებით, არამედ რამდენად ბევრი ადამიანია განთავსებული ერთ საკანში.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების განტვირთვა არამხოლოდ მოემსახურება პატიმართა შორის ინფექციის გავრცელების პრევენციას, არამედ, ზოგადად საზოგადოების ისეთ ინტერესსაც, როგორცაა არ გადაიტვირთოს საავადმყოფოები.